

# ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის (ნვუ) სტრატეგიული გეგმა 2017-2024

1. ძირითადი მიზანი .....	5
2. მიზნები და აქტივობები .....	6
3. 2017-2024 წლების სტრატეგიული გეგმის განვითარება .....	7
ნაწილი II - მისია, ღირებულებები და საერთო მიდგომები .....	8
1. ნვუ-ს მისიის განაცხადი .....	8

4. მონიტორინგის განხორციელება.....	12
ნაწილი III - მოკლევადიანი (2017-2020) და გრძელვადიანი (2017-2024) სამოქმედო გეგმა .....	13
1. ხარისხის კულტურა და საერთაშორისო აკრედიტაცია .....	13
2. კავშირების დამყარება .....	14
3. მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის შესაძლებლობები.....	16
4. კვლევის ხარისხი .....	18
5. კურიკულუმის განვითარება .....	18
6. აკადემიური პერსონალის, სტუდენტების მრავალფეროვანი კორპუსი.....	20
7. ეფექტიანი სტუდენტური და კარიერული სერვისები .....	22
8. ინფრასტრუქტურის განვითარება .....	25
9. საზოგადოებრივი აქტივობა და ინფორმაციის გავრცელება.....	27
10. ინსტიტუციური განვითარება .....	29



## ნაწილი I - საერთო ხედვა (მიდგომა)

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის აკადემიური ძლიერება ეფუძნება მრავალმხრივი საგანმანათლებლო გამოცდილების მქონე აკადემიურ პერსონალს, რომელიც მიზნად ისახავს ცოდნისა და ინოვაციის შექმნასა და საზოგადოებაში გავრცელებას თანაბარი ხელმისაწვდომობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით.

უნივერსიტეტი სრულად იაზრებს მის უნიკალურ იდენტობას საზოგადოებაში. ის სთავაზობს რეგიონული და დასავლური საგანმანათლებლო სამეცნიერო ექსპერტიზის შერწყმას, რათა უზრუნველყოს შრომის ბაზრის პრიორიტეტებთან მჭიდრო კავშირი როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. ნვუ-ს მიზანია ინტეგრირებული და მულტიდისციპლინური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, სადაც განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ზოგად და ლიდერობის უნარებზე, ასევე - საერთო ღირებულებებზე.

სწრაფად ცვალებადი ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის გამოწვევებზე დროულად რეაგირებისათვის, ნვუ ხედავს მზარდ შესაძლებლობებს აკადემიური პერსონალისა და კურიკულუმის ინტერნაციონალიზაციის კუთხით, რაც, თავის მხრივ, განათლების ინტერნაციონალიზაციის მთავარი ფაქტორია.

აკადემიური პერსონალის შერჩევისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მრავალმხრივ, პრაქტიკულ და საერთაშორისო გამოცდილებას, რაც მულტიდისციპლინური კურიკულუმის შეთავაზებისას ნვუ-ს უპირატესობას წარმოადგენს.

ნვუ, ასევე, ხელს უწყობს სტუდენტთა კონტიგენტის მრავალფეროვნებას და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებისა და სტუდენტების საერთაშორისო ქსელის შექმნას.

უნივერსიტეტი უპირველეს ვალდებულებად მიიჩნევს, ხელი შეუწყოს კვლევისა და ინოვაციების განვითარებას და განსაკუთრებულ მნიშვნელობას უთმობს კვლევის მაღალ ხარისხსა და საუნივერსიტეტო საზოგადოების მონაწილეობას გრძელვადიან პერსპექტივაში. რაც, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს თანამედროვე კვლევის შედეგების ასახვას სწავლებისა და სწავლის პროცესზე და მეორე მხრივ - განაპირობებს ამ პროცესში მიღწეული შედეგების გაუმჯობესებას გამოყენებითი კურსების ფარგლებში ჩატარებული კვლევების მეშვეობით.

საუნივერსიტეტო საზოგადოების მიერ გაზიარებული მისიის განაცხადში, რომელიც ეფუძნება განათლების, კვლევისა და ინოვაციების კავშირს, ხაზგასმულია ნვუ-ს ერთგულება აკადემიური თავისუფლებისა და ავტონომიურობის პრინციპების მიმართ.

აკადემიური თავისუფლება ხელს უწყობს სწავლებისა და კვლევის მაღალ ხარისხს, ხოლო ნვუ-ს ფინანსური ავტონომიურობა გამოიხატება დივერსიფიცირებული დაფინანსების წყაროების მოძიებაში და ხაზს უსვამს მისთვის დამახასიათებელ მიდგომას, ემსახუროს საზოგადოებრივ კეთილდღეობას, უზრუნველყოს მისი ინფორმირებულობა უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ.

წინამდებარე დოკუმენტში იდენტიფიცირებულია შესაბამისი ინსტიტუციური, უნივერსიტეტის დონეზე არსებული სტრატეგიები და ტაქტიკა, რომელიც დაეხმარება ნვუ-ს ეფექტურად გაუმკლავდეს გამოწვევებსა და პასუხისმგებლობას შემდგომი შვიდი წლის განმავლობაში და შექმნას ახალი შესაძლებლობები აკადემიური და კვლევითი კომპონენტების გაძლიერების/დახვეწის მიზნით.

## 1. ძირითადი მიზანი

სტრატეგიული გეგმა ხაზს უსვამს ნვუ-ს უმთავრეს მიზანს, „მხარი დაუჭიროს პიროვნების თვალსაწიერის გაფართოებას განათლების, კვლევისა და ინოვაციების ხელშეწყობის გზით.“ მისი ამოცანაა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს კავშირს თეორიასა და პრაქტიკას შორის, „იდეების სამყაროს“ განხორციელებას „მოქმედების სამყაროში.“ ნვუ-ს ზოგადი სტრატეგია უნივერსიტეტის მიზნების მისაღწევად შემდეგია:

- დააარსოს და შეინარჩუნოს აკადემიური ლიდერობა ნვუ-ს მიერ შეთავაზებულ სფეროებში (სამართალი, მედიცინა, პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები, ბიზნესი და ინფორმაციული ტექნოლოგიები);
- ხელი შეუწყოს კარგად განსაზღვრულ და თანმიმდევრულ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ჩამოყალიბებას;
- უზრუნველყოს ჩართულობა სწავლებასა და კვლევაში (მაგ. კვლევის შედეგების გამოყენება სწავლების პროცესში, სტუდენტების მონაწილეობის ხელშეწყობა კვლევით პროექტებში და ა.შ.);
- გააფართოოს სტუდენტთა კონტიგენტი და ხელი შეუწყოს სტუდენტების მრავალფეროვნებას (ზრდასრული სტუდენტები, სტუდენტები, რომელთაც ჰყავთ მცირეწლოვანი შვილები და ა.შ. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების შესაძლებლობების შექმნით);
- შეინარჩუნოს ეფექტიანი კომუნიკაცია აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებთან, აკადემიური პოტენციალისა და თანამშრომლობის შესაძლებლობების შესახებ არსებული ცნობადობის ასამაღლებლად;

- განავითაროს და შეინარჩუნოს მჭიდრო კონტაქტები დაინტერესებულ მხარეებთან, კერძოდ - პოტენციურ დამსაქმებლებთან, შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბით;
- ხელი შეუწყოს მეცნიერებსა და მკვლევარებს, რომლებიც ცხოვრობენ საქართველოში და ქვეყნის გარეთ ნვუ-ს კვლევითი ცენტრების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად.
- ითანამშრომლოს საერთაშორისო და ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებთან, რათა ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტების განხორციელებას.
- აქტიურად იყოს ჩართული ადგილობრივ და ფართო საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

## 2. მიზნები და აქტივობები

ზოგადი სტრატეგიის მიზნების მისაღწევად, წინამდებარე დოკუმენტში აღწერილია სპეციფიკური მიზნები და აქტივობები, ნვუ-ს გუნდთან კონსულტაციებისა და დისკუსიების საფუძველზე.

კერძოდ:

- ეფექტიანი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შენარჩუნება და ნვუ-ს საერთაშორისო აღიარების ხელშეწყობა საერთაშორისო პროგრამული აკრედიტაციის მოპოვების გზით;
- ერთობლივი ეროვნული და საერთაშორისო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა, სტრატეგიულად მნიშვნელოვან სფეროებში საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის გაფართოება და დახვეწა;
- რეგიონული და საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობის გაზრდა და სტუდენტთა მრავალფეროვნების მხარდაჭერა, როგორცაა სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტების, ზრდასრული სტუდენტების და ა.შ.;
- სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებისათვის მრავალმხრივი შესაძლებლობების შექმნა, რათა ამაღლდეს ცნობიერება პრაქტიკის შესაძლებლობების შესახებ და გაიზარდოს სტუდენტების მონაწილეობა ნვუ-ს მიერ დაგეგმილ კვლევებში;

- აკადემიური პერსონალის მრავალფეროვნებისა და მაღალი კვალიფიკაციის შენარჩუნება, სტრატეგიულად მნიშვნელოვან სფეროებში სამუშაოზე აყვანის გამჭვირვალე, ნათელი და ობიექტური კრიტერიუმებისა და პროცედურების უზრუნველყოფით;
- კურიკულუმის კომიტეტის დაარსება, აკადემიური პერსონალის განსხვავებულობის წახალისება და მულტიდისციპლინური და ინტეგრირებული კურიკულუმის განხორციელების ხელშეწყობა;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარება და განვითარება, იმ მიზნით, რათა შიდა დაინტერესებულ მხარეებს სრულად მიუწვდებოდეთ ხელი აკადემიურ, რეკრეაციულ და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობებზე, რომელთაც სთავაზობს ნვუ;
- კურსდამთავრებულთა ასოციაციის ხელშეწყობა, რომელიც გააერთიანებს ნვუ-ს კურსდამთავრებულებს მსოფლიოს ყველა კუთხიდან და თანამშრომლობის შესაძლებლობების გადრმავება;
- დამსაქმებლებთან დიალოგის გააქტიურება და ნვუ-ს სტუდენტების მუდმივი ინფორმირება მათი კარიერული შესაძლებლობების შესახებ, ცოდნისა და (პრაქტიკული, შემეცნებითი) უნარების ხელშეწყობა ეროვნული და საერთაშორისო შრომის ბაზრების მოთხოვნების გათვალისწინებით;
- ინოვაციების, კვლევების და ერთობლივი კვლევითი პროექტების ხელშეწყობა ცოდნისა და სამეცნიერო გამოცდილების შექმნის მიზნით, რომელიც სარგებელს მოუტანს სამოქალაქო საზოგადოებას, სახელმწიფოსა და მრეწველობის სექტორებს;
- ნვუ-ს აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლების მონაწილეობის ხელშეწყობა და გაფართოება სამოქალაქო პროექტებში.

### 3. 2017-2024 წლების სტრატეგიული გეგმის განვითარება

ნვუ-ს სტრატეგიული გეგმის განვითარების პროცესი მოიცავდა რამდენიმე ეტაპს. პირველ რიგში, განხორციელდა SWOT ანალიზი ნვუ-ს, როგორც დაწესებულების ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად და რისკებისა და შესაძლებლობების განსასაზღვრად. მეორე ეტაპზე, ნვუ-ს ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს სთხოვეს, მონაწილეობა მიეღოთ ელექტრონულ გამოკითხვაში, ნვუ-ს ახალი

სტრატეგიული მისიის განაცხადის, ხედვისა და პრიორიტეტების განსასაზღვრად. კითხვარის მონაცემები დამუშავდა პროგრამაში SPSS და მისი შედეგები ასახულია წინამდებარე დოკუმენტში.

უნივერსიტეტის მისიის გადახედვის პროცესსა და სტრატეგიული პრიორიტეტების განვითარებას თან სდევდა მთავარი კითხვები, რომლებიც მხედველობაში იქნა მიღებული, კერძოდ:

- ვინ ვართ ჩვენ, როგორც ინსტიტუცია?
- რა არის ან შეიძლება იყოს ჩვენი უნიკალური იდენტობა?
- სად ვართ (როგორ უწყობს ხელს ადგილმდებარეობა ნვუ-ს უნიკალურ იდენტობას)?
- რისი მიღწევა და ხელშეწყობა გვსურს?
- როგორ უნდა მივაღწიოთ განახლებულ მიზნებს და მოვახდინოთ პროგრესის მონიტორინგი?

სტრატეგიული გეგმის შექმნის მიზანია, ნვუ-ს მისიისა და ხედვის განხორციელების ხელშეწყობა. გეგმა განსაზღვრავს სპეციფიკურ სტრატეგიულ პრიორიტეტებს, მოკლევადიან (3 წელი) და გრძელვადიან (7 წელი) მიზნებსა და აქტივობებს. დოკუმენტი მოიცავს ინდიკატორებს, რამაც ხელი უნდა შეუწყოს თანმიმდევრულობას, კოორდინაციას, ერთიანობასა და შედეგების მდგრადობას ნვუ-ს, როგორც ორგანიზაციის მასშტაბით. ამასთანავე, დოკუმენტი ტოვებს, საჭიროების შემთხვევაში, სტრატეგიული გეგმის გადახედვის შესაძლებლობას შემდგომი ცვლილებების შეტანის მიზნით.

## ნაწილი II - მისია, ღირებულებები და საერთო მიდგომები

### 1. ნვუ-ს მისიის განაცხადი

უნივერსიტეტის მისიაა ინდივიდის თვალსაწიერის გაფართოება განათლების, კვლევისა და სიახლის დანერგვის ხელშეწყობით. უნივერსიტეტი ახალისებს ინდივიდს, დახვეწოს და გააზიაროს ცოდნა, უნარები და ღირებულებები საზოგადოების საკეთილდღეოდ. ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი



იზიარებს სოციალურ პასუხისმგებლობას და ასევე ხელს უწყობს განათლების მიღების თანაბარ შესაძლებლობებს სტუდენტებისათვის მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან.

## 2. ნვუ-ს ხედვა

უნივერსიტეტი ქმნის ღია, ინოვაციურ და თანამშრომლობით გარემოს, რათა სტუდენტთა ჩართულობით წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. თანაბარი ხელმისაწვდომობის და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს განსხვავებული საჭიროებების სტუდენტზე ორიენტირებულ და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობებს. სამოქალაქო საზოგადოების, სახელმწიფოსა და ბიზნესის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით, უნივერსიტეტი ესწრაფვის ცოდნისა და ინოვაციების გავრცელებას ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებაში. ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემოს ფორმირების პასუხისმგებლობის გაზიარებით, უნივერსიტეტი ახალისებს გარემოსდაცვით განათლებას საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად და მის დასაცავად ერთობლივი მოქმედებისათვის. ცოდნის შექმნით, გაფართოება-გავრცელებითა და კვალიფიციური კადრების მომზადებით უნივერსიტეტი ხელს უწყობს ეკონომიკურ წინსვლასა და მდგრადობას.

## 3. ძირითადი ღირებულებები და საერთო მიდგომები

- თანამშრომლობა,
- კვლევაზე კონცენტრაცია,
- შემოქმედებითობა პრობლემის გადაჭრისას,
- მრავალფეროვნება,
- ეფექტიანობა,
- თანასწორობა,
- მიუკერძოებლობა,
- ეთიკური ლიდერობა,
- თავისუფლება,
- ინოვაცია,
- ინტეგრაცია,
- პატიოსნება,
- სამართლიანობა,

- ღიაობა,
- პროფესიონალიზმი,
- საზოგადოებისადმი ანგარიშვალდებულება,
- უსაფრთხოება,
- სოციალური ჩართულობა.

### 3. სტრატეგიული პრიორიტეტები

#### 1. ნვუ-ს ხარისხის კულტურა და საერთაშორისო აკრედიტაცია

ხარისხის კულტურის შენარჩუნება ნვუ-ში, ხარისხის მიწოდების მუდმივი განვითარების მიზნით პროგრესის შემოწმება, რეგულარული თვითშეფასებისა და მიზანმიმართული გამოკითხვების საშუალებით. სწავლების, შეფასებისა და კვლევის ხარისხის ხელშეწყობა. ნვუ-ს ხარისხის კულტურის განმტკიცება საერთაშორისო აკრედიტაციის მეშვეობით.

#### 2. კავშირების დამყარება ევროპულ და საერთაშორისო უმაღლესი განათლების პროექტებში მონაწილეობის გაზრდა, ეფექტიანი კომუნიკაციის უზრუნველყოფა დონორ ორგანიზაციებთან და პარტნიორ უნივერსიტეტებთან საზღვარგარეთ იმ პროექტების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, რომლებიც სასარგებლო იქნება სტუდენტების, აკადემიურ პერსონალისა და ნვუ-ს საზოგადოებისათვის. ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე საგანმანათლებლო შესაძლებლობების უკეთ შესწავლა და ხელშეწყობა.

#### 3. მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობები მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის პრინციპის დაცვის მიზნით, ყველა სტრატეგიულად მნიშვნელოვან სფეროში სამსაფუხურიანი განათლების, უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობების, ზაფხულისა და ზამთრის სკოლების შეთავაზება. მოკლე ციკლის პროგრამების და/ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (მეხუთე დონე, EQF) განვითარება.

4. კვლევის მაღალი ხარისხი კვლევის მაღალი სტანდარტების განვითარება, გაუმჯობესება და შენარჩუნება; სტუდენტების თანამშრომლობის ხელშეწყობა მრეწველობის სფეროს, საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან კვლევითი პროექტების განვითარებისა და განხორციელების მიზნით. აკადემიური პერსონალის გაცვლის და თანამშრომლობის ხელშეწყობა მეცნიერებს, მკვლევარებსა და კვლევით ცენტრებს შორის, ქვეყნის შიგნით და მის გარეთ.
5. კურიკულუმის განვითარება კურიკულუმის თავსებადობის მუდმივი გაუმჯობესება ეროვნული და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, თეორიისა და პრაქტიკის გაერთიანების გზით. მულტიდისციპლინური, ინტერდისციპლინური და ტრანსდისციპლინური მიდგომების დანერგვა კურიკულუმის დიზაინსა და შეფასების მეთოდებში. ერთობლივი საერთაშორისო და ეროვნული პროგრამების განვითარების ხელშეწყობა და სხვა უნივერსიტეტებთან პარტნიორული შესაძლებლობების გაფართოება.
6. აკადემიური პერსონალის, სტუდენტების მრავალფეროვანი კორპუსი სტრატეგიულად მნიშვნელოვან სფეროებში მრავალფეროვანი აკადემიური პერსონალის შენარჩუნება. სტუდენტების მიღების გამჭვირვალე, ნათელი და ობიექტური კრიტერიუმებისა და პროცედურების უზრუნველყოფა. სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების მხარდაჭერა და ახალი გეოგრაფიული რეგიონებიდან სტუდენტების მიღება. თანაბარი ხელმისაწვდომობის, მრავალფეროვანი სტუდენტური კორპუსის, მათ შორის - დასაქმებული და ზრდასრული სტუდენტების, სტუდენტების მცირეწლოვანი შვილებით და სპეციალური შესაძლებლობების მქონე სტუდენტების მიღება და შენარჩუნება.
7. ეფექტიანი სტუდენტური და კარიერული სერვისები  

ცნობადობის ამაღლება სტუდენტური და კარიერული სერვისების მიერ დაგეგმილი აქტივობებით. თანმიმდევრული კომუნიკაციის უზრუნველყოფა სტუდენტებთან, პოტენციურ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან, სტუდენტური და კარიერული სერვისების ოფისებში. სტუდენტური და კურსდამთავრებულთა ასოციაციების ეფექტიანობის ხელშეწყობა.

8. ინფრასტრუქტურის განვითარება სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე პროექტების განხორციელების გაგრძელება ინფრასტრუქტურის განსავითარებლად, რათა გაუმჯობესდეს სწავლებისა და სწავლის გარემო, კვლევითი და შემოქმედებითი ობიექტების გაუმჯობესების მიზნით.

#### 9. საზოგადოებრივი აქტივობა და ინფორმაციის გავრცელება

უნივერსიტეტის კომპეტენციის სფეროში კვლევისა და აკადემიური საქმიანობის ხარისხთან დაკავშირებით საზოგადოების მუდმივი ინფორმირება და ჩართულობის ხელშეწყობა, რითაც განხორციელდება უნივერსიტეტის მისია, ემსახუროს საზოგადოებრივ კეთილდღეობას. აღნიშნული კონცეფციის რეალიზებით, გაიზრდება სტუდენტების განვითარების შესაძლებლობები და მათი აკადემიური საქმიანობის შედეგად მიღებული საზოგადოებრივი სარგებლის დონე.

10. ინსტიტუციური განვითარება აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიურობის დაცვის ვალდებულების, როგორც საგანმანათლებლო და კვლევითი ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი გზის შენარჩუნება. ეფექტიანი მმართველობის მოდელის უზრუნველყოფა და ძლიერი ორგანიზაციული კულტურის დამყარება, რაც მის წევრებს მიანიჭებს ორგანიზაციული ცხოვრების მიმართ სიამაყისა და ერთგულების გრძნობას. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შექმნა და შენარჩუნება.

#### 4. მონიტორინგის განხორციელება

წინამდებარე გეგმაში ასახულია პროგრესის მონიტორინგის ჩარჩო, რომელიც დაფუძნებულია თვისებრივ და რაოდენობრივ ინდიკატორებზე. სტრატეგიული გეგმის განხორციელების პროგრესს შეამოწმებს სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი.

ნაწილი III - მოკლევადიანი (2017-2020) და გრძელვადიანი (2017-2024) სამოქმედო გეგმა

1. ხარისხის კულტურა და საერთაშორისო აკრედიტაცია

აქტივობები/ღონისძიებები	განხორციელების ვადები	ინდიკატორები	პასუხისმგებელი პირი (პირები)	დაფინანსების წყარო
არსებული თვითშეფასების სისტემის გაუმჯობესება	მიმდინარე	მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტების რაოდენობა და მათი ასახვა ანგარიშებში, ბოლო ორი თვითშეფასების ანგარიშის შედარებითი ანალიზი, გაუმჯობესებული შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები	ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტი, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი	უნივერსიტეტის ბიუჯეტი
უნივერსიტეტის ხარისხის კულტურის შესახებ ცნობიერების ამაღლება	მიმდინარე	ტრენინგმოდულები, ტრენინგების განხორციელება	ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტი, სტრატეგიული	უნივერსიტეტის ბიუჯეტი
			განვითარების დეპარტამენტი	

შიდა თანამშრომლობის გაუმჯობესება ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტს, უნივერსიტეტის კომიტეტებსა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის	მიმდინარე	კომიტეტის შემადგენლობა, შეხვედრის ანგარიშები	ოქმები,	ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტი, უნივერსიტეტის სკოლები, უნივერსიტეტის კომიტეტები	უნივერსიტეტის ბიუჯეტი
ხარისხის უზრუნველყოფის საერთაშორისო ექსპერტების მოწვევა ნვუს ხარისხის კულტურის შესაფასებლად	2022 წლამდე	ექსპერტების ანგარიში(ანგარიშები)		შესაბამისი უნივერსიტეტის სკოლები, სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი	უნივერსიტეტის ბიუჯეტი; გარე გრანტები
საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაცია	2024 წლამდე	აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამების აკრედიტაცია 2023 წლამდე		აკადემური საბჭო, შესაბამისი უნივერსიტეტის სკოლები, ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტი, სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი	უნივერსიტეტის ბიუჯეტი

## 2. კავშირების დამყარება

აქტივობები/ღონისძიებები	განხორციელების ვადები	ინდიკატორები	პასუხისმგებელი პირები	დაფინანსების წყარო
-------------------------	-----------------------	--------------	-----------------------	--------------------

სპეციფიკური ასოციაციების წევრობა	სფეროს 2017-2018	ასოციაციების წევრობა	უნივერსიტეტის სკოლები, კანცლერი	უნივერსიტეტის ბიუჯეტი
ერაზმუს პროექტებში მონაწილეობა	პლუს მიმდინარე	განხორციელებული პროექტების რაოდენობა, პროექტის აღწერა	აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, კვლევითი ცენტრები, სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი	გარე გრანტები (ევროკავშირი ერაზმუს პლუსი); უნივერსიტეტის თანადაფინანსება
მონაწილეობა ჰორიზონტ 2020-ის პროექტებში	მიმდინარე	განხორციელებული პროექტების რაოდენობა, პროექტის აღწერა	უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი	გარე გრანტები (ჰორიზონტი 2020)
ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე უნივერსიტეტების თანამშრომლობა	მიმდინარე	ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი პარტნიორ უნივერსიტეტებთან; შეხვედრის განხორციელებული ერთობლივი აქტივობები	აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, კვლევითი ცენტრები, აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი	უნივერსიტეტის ბიუჯეტი; ხარჯების გაზიარება კონკრეტული პროექტების მიხედვით
ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციაში გაწევრიანება	2024 წლამდე	ნვუ არის ასოციაციის წევრი, ინფორმაცია გამოქვეყნებულია	აკადემიური საბჭო, სტრატეგიული განვითარების	უნივერსიტეტის ბიუჯეტი

		ვებგვერდზე	დეპარტამენტი	
უნივერსიტეტის საერთაშორისო ასოციაციაში გაწევრიანება	2024 წლამდე	ნუ არის IUA-ს წევრი, ინფორმაცია გამოქვეყნებულია ვებგვერდზე	აკადემიური საბჭო, სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი	უნივერსიტეტის ბიუჯეტი

### 3. მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის შესაძლებლობები

აქტივობები/ღონისძიებები	განხორციელების ვადები	ინდიკატორები	პასუხისმგებელი პირი/პირები	დაფინანსების წყარო
სამსაფეხურიანი განათლების შეთავაზება სტრატეგიულად მნიშვნელოვან სფეროებში	2017-2020	აკრედიტებული პროგრამები, პროგრამების აღწერა	აკადემიური საბჭო, სკოლის საბჭოები	უნივერსიტეტის ბიუჯეტი
ბიზნესკორპორაციებთან თანამშრომლობის გზით მოკლე ციკლის პროგრამის განვითარება	2017-2020	მოკლე ციკლის პროგრამის აღწერა	აკადემიური საბჭო, სკოლის საბჭოები, სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი, ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტი	უნივერსიტეტის ბიუჯეტი; ასევე გარე თანადაფინანსების შესაძლებლობა
აქტივობები/ღონისძიებები	განხორციელების ვადები	ინდიკატორები	პასუხისმგებელი პირი/პირები	დაფინანსების წყარო
ევროატლანტიკური კვლევითი ცენტრის დაარსება	სექტემბერი 2017	ცენტრის მარეგულირებელი დოკუმენტი მიღებულია	აკადემიური საბჭო	უნივერსიტეტის ბიუჯეტი



უნივერსიტეტის გამომცემლობა	მიმდინარე	საქართველოს კანონის მიმოხილვა, გამოქვეყნებული ტომები	აკადემიური პერსონალი, სამართლის სკოლა	უნივერსიტეტის ბიუჯეტი
ახალი ბიომედიცინის კვლევითი ლაბორატორია ბოხუას 11, მე-5 სართული	მარტი, 2018	ოპერაციული ლაბორატორია	მედიცინის სკოლა; წარმომადგენლობითი საბჭო	უნივერსიტეტის ბიუჯეტი
ნვუ-ს მედიცინის სტუდენტების სამეცნიერო ასოციაციის აქტივობების ხელშეწყობა	მიმდინარე	სტუდენტთა ნაწილი მედიცინის სტუდენტთა სამეცნიერო ასოციაციის წევრია	მედიცინის სკოლა	უნივერსიტეტის ბიუჯეტი
კვლევითი პროექტების დაგეგმვა და აკადემიური პერსონალის მონაწილეობის წახალისება	მიმდინარე	კვლევითი პროექტების აღწერა, განცხადებები კვლევით გრანტებზე	სკოლები აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო	გარე ფინანსური მხარდაჭერა დონორი ორგანიზაციების მიერ  უნივერსიტეტის ბიუჯეტის თანადაფინანსება
სხვა საუნივერსიტეტო პუბლიკაციების განვითარება	2024 წლამდე	ახალი პუბლიკაციები	აკადემიური პერსონალი, სკოლები, აკადემიური საბჭო	უნივერსიტეტის ბიუჯეტი; გარე ფინანსური მხარდაჭერა (დონორი ორგანიზაციები)

#### 4. კვლევის ხარისხი

#### 5. კურიკულუმის განვითარება

აქტივობები/დონისძიებები	განხორციელების ვადები	ინდიკატორები	პასუხისმგებელი პირი/პირები	დაფინანსების წყარო
ელექტრონული საგამოცდო სისტემის გაუმჯობესება	სექტემბერი 217	ახალი საგამოცდო პროგრამის მეშვეობით გამოცდების ადმინისტრირება	კანცლერი, ადმინისტრაციული პერსონალი, სკოლების საბჭოები	უნივერსიტეტის ბიუჯეტი
სამი ახალი საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება (საბაკალავრო პროგრამა სამართალში, სწავლების ენა: ინგლისური; სამაგისტრო პროგრამა პოლიტიკასა და დიპლომატიკაში, სწავლების ენა: ინგლისური; სადოქტორო პროგრამა ბიოლოგიაში, სწავლების ენა: ინგლისური)	2017-2018	პროგრამის აღწერა სკოლის საბჭოს სხდომის ოქმები, თვითშეფასების ანგარიშები პროგრამული აკრედიტაციისთვის  პროგრამები აკრედიტებულია	აკადემიური პერსონალი, სკოლების საბჭოები, აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო	უნივერსიტეტის ბიუჯეტი

ერთობლივი სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამები განათლებაში	2018-2020	აკრედიტებული პროგრამა, პროგრამის აღწერა	აკადემიური პერსონალი, სკოლის საბჭოები, აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი	უნივერსიტეტის ბიუჯეტი, ასევე შესაძლებელია გარე თანადაფინანსება
გარე დაინტერესებული მხარეების (მაგ.	მიმდინარე	განხორციელებული კონსულტაციები	აკადემიური საბჭო, სკოლების საბჭოები	უნივერსიტეტის ბიუჯეტი
დამსაქმებლების) მონაწილეობა კურიკულუმის განვითარებაში		(შეხვედრები) პოტენციურ დამსაქმებლებთან ცოდნისა და პრაქტიკული, კოგნიტური უნარების შესახებ შრომის ბაზარზე არსებული საჭიროების კუთხით		
კურიკულუმის განვითარების კომიტეტის აქტივობების ხელშეწყობა	მიმდინარე	კომიტეტის შეხვედრები, შეხვედრის ოქმები, ანგარიშები	აკადემიური საბჭო	უნივერსიტეტის საბჭო
ხუთი ახალი საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება	2022 წლამდე	პროგრამის აღწერა, სკოლის საბჭოს სხდომის ოქმები, თვითშეფასების ანგარიშები პროგრამული აკრედიტაციისთვის	სკოლის საბჭოები, აკადემიური საბჭო	უნივერსიტეტის ბიუჯეტი, გარე თანადაფინანსება

სულ მცირე ორი ორმაგი და ერთობლივი ხარისხის პროგრამის განხორციელება	2024 წლამდე	აკრედიტებული პროგრამები, პროგრამის აღწერა	სკოლის საბჭოები, აკადემიური საბჭო	უნივერსიტეტის ბიუჯეტი, გარე თანადაფინანსება
--	-------------	---	-----------------------------------	---

6. აკადემიური პერსონალის, სტუდენტების მრავალფეროვანი კორპუსი

აქტივობები/ღონისძიებები	განხორციელების ვადები	ინდიკატორები	პასუხისმგებელი პირი/პირები	დაფინანსების წყარო
საერთაშორისო სტუდენტების მიღება ფიზიკური რეაბილიტაციის და ჯანდაცვის მენეჯმენტის	სექტემბერი, 2017	საერთაშორისო სტუდენტები, აკადემიური პროგრამები	მედიცინის სკოლა	უნივერსიტეტის ბიუჯეტი

სამაგისტრო პროგრამაზე				
სტუდენტური კონტიგენტის გაფართოება ახალ რეგიონებში	მიმდინარე	წვუ-ს შემოთავაზების განაცხადი და პროცედურები, წვუ-ს ბუკლეტი	აკადემიური საბჭო, სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი, სტუდენტური და კარიერული სერვისების ოფისი	უნივერსიტეტის ბიუჯეტი

სტუდენტთა საჭიროებების მიხედვით აკადემიური პროგრამის მიწოდება, მოქნილი გრაფიკის უზრუნველყოფა დასაქმებული სტუდენტებისათვის	მიმდინარე	დილის და საღამოს კლასები, შაბათის კლასები, სპეციალური საზაფხულო და საზამთრო კურსები	აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, სკოლის საბჭოები	უნივერსიტეტის ბიუჯეტი
აკადემიური პერსონალის ვაკანსიების გამოცხადება	მიმდინარე	გამოცხადებული ვაკანსიები, შერჩევის შედეგების ოქმები	აკადემიური საბჭო, სკოლის საბჭოები, წარმომადგენლობითი საბჭო	უნივერსიტეტის ბიუჯეტი
ერაზმუსის პროგრამაში მონაწილეობა გაცვლითი სტუდენტური პროგრამების ხელშესაწყობად	2017-2020	შეთანხმება უნივერსიტეტებთან	სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი	უნივერსიტეტის ბიუჯეტი, გარე თანადაფინანსება (ერაზმუსის გაცვლითი პროგრამა)
ნვუ-ს პერსონალის შერჩევისა და სამუშაოზე აყვანის (დაქირავების) პროცედურების დახვეწა	2017-2018	სამუშაოზე აყვანის (დაქირავების) ნათელი, გამჭვირვალე კრიტერიუმები და პროცედურები	უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, სკოლის საბჭოები	უნივერსიტეტის ბიუჯეტი
ადმინისტრაციული პერსონალის დაქირავება	მიმდინარე	კონტრაქტები, სამუშაოს აღწერილობები	კანცლერი	უნივერსიტეტის საბჭო

სტუდენტური კონტიგენტის გაზრდა ეროვნულ საბაკალავრო დონეზე	2020-2024	ერთიანი ეროვნული გამოცდებით მიღებული სტუდენტების რაოდენობა	სკოლის საბჭოები, აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო	უნივერსიტეტის ბიუჯეტი
--	-----------	--	--	-----------------------

### 7. ეფექტიანი სტუდენტური და კარიერული სერვისები

აქტივობები/დონისძიებები	განხორციელების ვადები	ინდიკატორები	პასუხისმგებელი პირი/პირები	დაფინანსების წყარო
სტუდენტური სერვისების გაუმჯობესება	მიმდინარე	არსებული სტუდენტური სერვისების შესახებ ბუკლეტი, ვებგვერდი	კანცლერი, სტუდენტური და კარიერული სერვისების ოფისი, სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი	უნივერსიტეტის ბიუჯეტი
საორიენტაციო კვირა საერთაშორისო სტუდენტებისათვის	მიმდინარე	შეხვედრები, საორიენტაციო ბუკლეტი	კანცლერი, სტუდენტური და კარიერული სერვისების ოფისი, სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი	უნივერსიტეტის ბიუჯეტი
კურსდამთავრებულთა გამოკითხვა	მიმდინარე	დასრულებული კითხვარები, გამოკითხვის მონაცემები	სტუდენტური და კარიერული	უნივერსიტეტის ბიუჯეტი

			სერვისების ოფისი, სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი	
სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის სოციალური ქსელების განვითარება და შენარჩუნება	მიმდინარე	სოციალურ ქსელებში არსებული ჯგუფები  ახალი ამბები სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის გამოქვეყნებულია	სტუდენტური და კარიერული სერვისების ოფისი	უნივერსიტეტის ბიუჯეტი
კურსდამთავრებულთა შეხვედრების ორგანიზება	მიმდინარე	ლონისძიებები, შეხვედრები	სტუდენტური და კარიერული სერვისების ოფისი; სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი	უნივერსიტეტის ბიუჯეტი
Brown Bag ღონისძიებები (დისკუსიები, განხილვები წარმატებულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან)	მიმდინარე	შეხვედრები, ანგარიშები ვებგვერდზე	სტუდენტური და კარიერული სერვისების ოფისი; სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი	უნივერსიტეტის ბიუჯეტი

წარმატებული სტუდენტებისათვის პრაქტიკის შესაძლებლობების უზრუნველყოფა	მიმდინარე	პრაქტიკის პროგრამები	კანცლერი, სტუდენტური კარიერული სერვისების ოფისი, სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი	თანადაფინანსება
ღია კარის დღეები პოტენციური სტუდენტებისათვის	მიმდინარე	შეხვედრები, ანგარიშები ვებგვერდზე	სტუდენტური და კარიერული სერვისების ოფისი	უნივერსიტეტის ბიუჯეტი
საორიენტაციო ინფორმაციის შეთავაზება ადგილობრივი სტუდენტებისათვის	მიმდინარე	შეხვედრები, გამოქვეყნებული ბუკლეტი, საინფორმაციო მასალები, განახლებული ვებგვერდი	სტუდენტური კარიერული სერვისების ოფისი	უნივერსიტეტის ბიუჯეტი
კურსდამთავრებულთა ჩართულობა აკადემიურ პროცესებში და საუნივერსიტეტო ცხოვრებაში	2024 წლამდე	კურსდამთავრებულები მონაწილეობენ საუნივერსიტეტო და აკადემიურ ცხოვრებაში	სტუდენტური აკადემიური სერვისების ოფისი, სკოლების საბჭოები	უნივერსიტეტის ბიუჯეტი
კურსდამთავრებულებზე ორიენტირებული სტუდენტური სერვისების გაუმჯობესება და კურიკულუმს გარე აქტივობების ხელშეწყობა	2024 წლამდე	გაუმჯობესებული, სტუდენტზე ორიენტირებული სერვისები	სტუდენტური კარიერული სერვისების ოფისი, სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი	უნივერსიტეტის ბიუჯეტი



### 8. ინფრასტრუქტურის განვითარება

აქტივობები/ღონისძიებები	განხორციელების ვადები	ინდიკატორები	პასუხისმგებელი პირი/პირები	დაფინანსების წყარო
3D ტექნიკის ინსტალაცია	დეკემბერი, 2017	აღჭურვილი კონფერენციის დარბაზი	კანცლერი, ტექნიკური პერსონალი	უნივერსიტეტის ბიუჯეტი
სტუდენტური კაფეტერია ბოხუას 11	დეკემბერი, 2017	აღჭურვილი კაფეტერია	კანცლერი, ტექნიკური პერსონალი	უნივერსიტეტის ბიუჯეტი

ახალი საუნივერსიტეტო კამპუსის კონსტრუქციის გეგმის განვითარება	იანვარი, 2018	კონსტრუქციის გეგმა	კანცლერი	უნივერსიტეტის ბიუჯეტი
სტუდენტური საცხოვრებლის ახალი შენობის კონსტრუქციის გეგმის განვითარება	თებერვალი, 2018	კონსტრუქციის გეგმა	კანცლერი	უნივერსიტეტის ბიუჯეტი

ადაპტირებული სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება სტუდენტებისათვის	მარტი, 2018	ადაპტირებული სპორტული ინფრასტრუქტურა	კანცლერი, ტექნიკური პერსონალი	უნივერსიტეტის ბიუჯეტი
ზედამხედველობის არსებული სათამაშო მოედანი სტუდენტებისათვის მცირეწლოვანი ბავშვებით	ქვეშ მარტი, 2018	ზედამხედველობის არსებული სათამაშო მოედანი ფუნქციონირებს	კანცლერი, ტექნიკური პერსონალი	უნივერსიტეტის ბიუჯეტი
პირველი in-campus სტუდენტური საცხოვრებლის შენობა	ოქტომბერი, 2018	საცხოვრებელი ფუნქციონირებს	კანცლერი, ტექნიკური პერსონალი	უნივერსიტეტის ბიუჯეტი
მეორე in-campus საცხოვრებელი შენობა	ოქტომბერი, 2020	მეორე შენობა ფუნქციონირებს	კანცლერი, ტექნიკური პერსონალი	უნივერსიტეტის ბიუჯეტი

NVU-ს ბიბლიოთეკის გაუმჯობესება	მიმდინარე	NVU-ს ბიბლიოთეკის განახლება; სტუდენტებისთვის თანამედროვე ელექტრონული რესურსების უზრუნველყოფა	სკოლები, კანცლერი, აკადემიური საბჭო	უნივერსიტეტის ბიუჯეტი
ახალი სამედიცინო სკოლის შენობა ინტეგრირებული ჰოსპიტლით	2022 წლამდე	ფუნქციონირებადი სამედიცინო სკოლის შენობა ჰოსპიტლის შესაბამისი აღჭურვილობით	მედიცინის სკოლის საბჭო, უნივერსიტეტის ჰოსპიტლის მენეჯმენტი, წარმომადგენლობითი საბჭო (კანცლერი)	უნივერსიტეტის ბიუჯეტი
თანამედროვე სპორტული კომპლექსის დასრულება	2024 წლამდე	კონსტრუქციის დასრულება	წარმომადგენლობითი საბჭო	საჭიროებების ანალიზის საფუძველზე
სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის მაღალი ხარისხის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა	2024 წლამდე	ადაპტირებული ინფრასტრუქტურა შენარჩუნებული და განვითარებულია	წარმომადგენლობითი საბჭო (კანცლერი)	უნივერსიტეტის საბჭო

**9. საზოგადოებრივი აქტივობა და ინფორმაციის გავრცელება**

აქტივობები/ღონისძიებები	განხორციელების ვადები	ინდიკატორები	პასუხისმგებელი პირი/პირები	დაფინანსების წყარო
-------------------------	-----------------------	--------------	----------------------------	--------------------

ბავშვთა პარასპორტული მოძრაობის განვითარების ხელშეწყობა	მიმდინარე	ხელშეწყობი აქტივობები	მედიცინის სკოლა, წარმომადგენლობითი საბჭო	უნივერსიტეტის ბიუჯეტი, ასევე თანადაფინანსების შესაძლებლობა გარე
იურიდიული დახმარების ოფისის განვითარების ხელშეწყობა	მიმდინარე	იურიდიული დახმარების ხელშეწყობა, განხილული საკითხების რაოდენობა	სამართლის სკოლა	უნივერსიტეტის ბიუჯეტი
კომუნიკაციების გეგმის განვითარება	იანვარი, 2018	ნვუ-ს კომუნიკაციების გეგმა განვითარებული და განხორციელებულია	აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, კომუნიკაციების ოფიცერი, სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი	უნივერსიტეტის ბიუჯეტი
საჯარო დებატებში ჩართვა და ნვუ-ს საერთო ღირებულებების დაცვა და გავრცელება	2024 წლამდე	აქტივობები; საჯაროობა	პერსონალი; უნივერსიტეტის ცენტრები	უნივერსიტეტის ბიუჯეტი
ნვუ-ს ღონისძიებების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა	2024 წლამდე	აქტივობები; საჯაროობა	კანცლერი, სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი	უნივერსიტეტის ბიუჯეტი

### 10. ინსტიტუციური განვითარება

აქტივობები/ღონისძიებები	განხორციელების ვადები	ინდიკატორები	პასუხისმგებელი პირი/პირები	დაფინანსების წყარო
ახალი საუნივერსიტეტო ცენტრების დაარსება	მიმდინარე	სულ მცირე ორი საუნივერსიტეტო ცენტრის დაარსება, მარეგულირებელი დოკუმენტების მიღება	სკოლის საბჭოები, აკადემიური საბჭო	უნივერსიტეტის ბიუჯეტი
თანამშრომლობა დამსაქმებელთა ასოციაციასთან	მიმდინარე	თანამშრომლობის მემორანდუმები	აკადემიური საბჭო, სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი	უნივერსიტეტის ბიუჯეტი, ხარჯების გაზიარება
საჭიროებებზე დაფუძნებული ტრენინგების განვითარება პერსონალისთვის	მიმდინარე	ტრენინგმოდულები, მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო ღონისძიებებში, კონფერენციებში, სემინარებში, კონფერენციის ანგარიშები	სკოლის საბჭოები, სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი, კანცლერი	უნივერსიტეტის ბიუჯეტი, თანადაფინანსება შესაძლებელია გარე

